პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 21 სექტემბერი, 1943 წ. № 198 (6823). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ერემენკოს
არმიის გენერალ სოკოლოვსკის

კალინინის ფრონტის ჯარებმა ოთხი დღის გააფთრებული ბრძოლების შედეგად, გაარღვიეს მტრის ძლიერ გამაგრებული ზოლი, გაანადგურეს მისი ხანგრძლივი დასაყრდენი პუნქტები **რიბშევო, ვერდინო, ლომონოსოვო, კულაგინო, პანკრატოვო** და იერიშით დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი **სმოლენსკისაკენ** მიმავალ გზებზე—ქალაქი **დუხოვშჩინა.**

დასავლეთის ფრონტის ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი **სმოლენსკის** მისადგომებზე—ქალაქი და რკინიგზის სადგური **იარცევო.**

ამრიგად, გარღვეული აღმოჩნდა გერმანელთა ძლიერ გამაგრებული, ხანგრძლივი თავდაცვითი ზოლი, რომელიც ეგრეთწოდებულ სმოლენსკის ჯიშკარს ჰკეტავდა.

ქალაქების **დუხოვშჩინისა** და **იარცევოს** განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ბერზარინის,** გენერალ-ლეიტენანტ **გლუზდოვსკის,** გენერალ-ლეიტენანტ **გოლუბევის** ჯარებმა, პოლკოვნიკ **დრემოვის** ტანკისტებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **გრომოვისა** და ავიაციის გენერალ-მაიორ **პაპივინის** მფრინავებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

გენერალ-მაიორ **ოზიმინის** გვარდიის 91-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ქვაშნინის** გვარდიის მე-17 მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ცუკარევის** 184-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **მანჯურინის** 46-ე მექანიზებულმა ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **მიხაილოვის** 47-ე მექანიზებულმა ბრიგადამ, არტილერიის გენერალ-მაიორ **სამბორსკის** 21-ე საარტილერიო დივიზიამ, პოლკოვნიკ **სავლევიჩის** მე-4 გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **მატუზასის** მე-4 მოიერიშე საინჟინრო-მესანგრე ბრიგადამ, პოლკოვნიკ **კუჩერიავენკოს** 306-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **დობროვოლსკის** 134-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ტურინის** 234-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **კუდრიავცევის** 178-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ანდრიუშენკოს** 185-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **პისარევის** 82-ე წითელდროშოვანმა მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **შულგას** 274-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **კოსოლაპოვის** 359-ე მსროლელმა დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **სმოლოვიკის** 233-ე მოიერიშე საავიაციო დივიზიამ, მაიორ **დიმჩენკოს** გვარდიის 123-ე ბომბდამშენმა საავიაციო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **პოლუბოჩკოს** გვარდიის მე-2 სამოტოციკლეტო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ვიბოროვის** 529-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, მაიორ **მოსენზონის** 72-ე საინჟინრო ბატალიონმა, მაიორ **სემიონოვის** 90-ე პონტონ-ხიდის ცალკე ბატალიონმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად, იმ შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვითი ზოლის გარღვევისას და ქალაქების **დუხოვშჩინისა** და **იარცევოს** განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში, მიენიჭოთ სახელწოდება:

„**დუხოვშჩინისა**“

გვარდიის 91-ე მსროლელ დივიზიას,
გვარდიის მე-17 მსროლელ დივიზიას,
184-ე მსროლელ დივიზიას,
46-ე მექანიზებულ ბრიგადას,
47-ე მექანიზებულ ბრიგადას,
21-ე საარტილერიო დივიზიას,
მე-4 გამანადგურებელ ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადას,
მე-4 მოიერიშე საინჟინრო-მესანგრე ბრიგადას.

„**იარცევოსი**“

82-ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზიას,
274-ე მსროლელ დივიზიას,
359-ე მსროლელ დივიზიას,
529-ე გამანადგურებელ ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკს,
90-ე პონტონ-ხიდის ცალკე ბატალიონს,
72-ე საინჟინრო ბატალიონს,
გვარდიის მე-2 სამოტოციკლეტო პოლკს,
233-ე მოიერიშე საავიაციო დივიზიას,
გვარდიის 123-ე ბომბდამშენ საავიაციო პოლკს.

„**რიბშევოსი**“

306-ე მსროლელ დივიზიას,

„**ვერდინოსი**“

134-ე მსროლელ დივიზიას.

„**ლომონოსოვოსი**“

234-ე მსროლელ დივიზიას.

„**კულაგინოსი**“

178-ე მსროლელ დივიზიას.

„**პანკრატოვოსი**“

185-ე მსროლელ დივიზიას.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

დუხოვშჩინის გვარდიის 91-ე მსროლელი დივიზია,
დუხოვშჩინის გვარდიის მე-17 მსროლელი დივიზია,
დუხოვშჩინის 184-ე მსროლელი დივიზია,
დუხოვშჩინის 46-ე მექანიზებული ბრიგადა,
დუხოვშჩინის 47-ე მექანიზებული ბრიგადა,
დუხოვშჩინის 21-ე საარტილერიო დივიზია,
დუხოვშჩინის მე-4 გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადა,
დუხოვშჩინის მე-4 მოიერიშე საინჟინრო-მესანგრე ბრიგადა,
იარცევოს 82-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია,
იარცევოს 274-ე მსროლელი დივიზია,
იარცევოს 359-ე მსროლელი დივიზია,
იარცევოს 529-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
იარცევოს 90-ე პონტონ-ხიდის ცალკე ბატალიონი,
იარცევოს 72-ე საინჟინრო ბატალიონი,
იარცევოს გვარდიის მე-2 სამოტოციკლეტო პოლკი,
იარცევოს 233-ე მოიერიშე საავიაციო დივიზია,
იარცევოს გვარდიის 123-ე ბომბდამშენი საავიაციო პოლკი,
რიბშევოს 306-ე მსროლელი დივიზია,
ვერდინოს 134-ე მსროლელი დივიზია,
ლომონოსოვოს 234-ე მსროლელი დივიზია,
კულაგინოს 178-ე მსროლელი დივიზია,
პანკრატოვოს 185-ე მსროლელი დივიზია.

დღეს, 19 სექტემბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა **სმოლენსკისაკენ** მიმავალ გზებზე და დაიკავეს ქალაქები **დუხოვშჩინა** და **იარცევო,**—ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ **დუხოვშჩინისა** და **იარცევოსათვის** წარმოებულ ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 19 სექტემბერი.

წიდერლანდების ელჩმა ბარონმა კ. ვან ბრიუგელ დუგლასმა რწმუნების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. მ. ი. კალინინს

18 სექტემბერს დღის პირველ საათზე კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო ნიდერლანდების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბარონი კ. ვან ბრიუგელ დუგლასი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ბარონ კ. ვან ბრიუგელ დუგლასს ახლდა ნიდერლანდების საელჩოს ატაშე ბ-ნი ლ. კრაიტბოსი, რომელიც ელჩმა წარუდგინა ამხ. მ. ი. კალინინს.

რწმუნების სიგელთა გადაცემას დაესწრნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ა. ფ. გორკინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ევროპის 1-ლი განყოფილების გამგე ამხ. ა. ი. ლავრენტიევი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. გ. ი. ფომინი.

ამხ. მ. ი. კალინინს საუბარი ჰქონდა ბარონ კ. ვან ბრიუგელ დუგლასთან რწმუნების სიგელთა გადაცემის შემდეგ.

ინჟ. გ. ვ. ჩარკვიანის და ინჟ. ბ. ბ. ბარამიძის დაჯილდოება

1940-43 წლებში ჩრდილოეთ-პეჩორის ახალი რკინიგზის წარმატებითი მშენებლობისათვის და პეჩორის ჭალაზშირის ბასეინის ათვისებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია მშენებლობის და ბასეინის მუშაკთა დიდი ჯგუფი, რომელთა შორის **ლენინის ორდენით** დაჯილდოებულია **ჩარკვიანი** გიორგი ვლადიმერის-ძე — ხიდების **ვიანი** გიორგი ვლადიმერის-ძე — ხიდების მშენებლობის ინჟინერი და **წითელი ვარსკვლავის ორდენით**—**ბარამიძე** ბორის გიორგის-ძე — მშენებლობის **მოადგილე ინჟინერი.**

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

ჩვენმა ჯარებმა უკრაინაში სწრაფი შეტევის შედეგად, 1943 წლის 17-18 სექტემბრის განმავლობაში გაათავისუფლეს გერმანელ დამპყრობთაგან ქალაქები **პრილუკი, რომნი, პირიატინი, ლუბნი, რომოდანი, მირგოროდი, კრასნოგრადი, პავლოგრადი.**

ამ ქალაქების განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს: სუმის 167-ე მსროლელმა დივიზიამ, 163-ე მსროლელმა დივიზიამ, 337-ე მსროლელმა დივიზიამ, 237-ე მსროლელმა დივიზიამ, 309-ე მსროლელმა დივიზიამ, 373-ე მსროლელმა დივიზიამ, 93-ე მსროლელმა დივიზიამ, 218-ე მსროლელმა დივიზიამ, გვარდიის 72-ე მსროლელმა დივიზიამ, გვარდიის 81-ე მსროლელმა დივიზიამ, გვარდიის 58-ე მსროლელმა დივიზიამ, 1-ლმა მექანიზებულმა კორპუსმა, მე-2 სატანკო კორპუსმა, გვარდიის 161-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკმა, გვარდიის 115-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, 292-ე მოიერიშე საავიაციო დივიზიამ, გვარდიის მე-60 მსროლელმა დივიზიამ, 172-ე მსროლელმა დივიზიამ, გვარდიის 42-ე მსროლელმა დივიზიამ.

მიღწეულ წარმატებათა აღსანიშნავად, ჩამოთვლილ შენაერთებსა და ნაწილებს მიენიჭოთ სახელწოდება:

„**პრილუკისა**“

გვარდიის 42-ე მსროლელ დივიზიას.

„**რომნისა**“

163-ე მსროლელ დივიზიას.

„**ლუბნისა**“

337-ე მსროლელ დივიზიას.

„**პირიატინისა**“

309-ე მსროლელ დივიზიას,
237-ე მსროლელ დივიზიას.

„**მირგოროდისა**“

373-ე მსროლელ დივიზიას,
93-ე მსროლელ დივიზიას.

„**რომოდანისა**“

218-ე მსროლელ დივიზიას.

„**კრასნოგრადისა**“

გვარდიის 72-ე მსროლელ დივიზიას,
გვარდიის 81-ე მსროლელ დივიზიას,
გვარდიის 58-ე მსროლელ დივიზიას,
1-ლ მექანიზებულ კორპუსს,
გვარდიის 161-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკს,
გვარდიის 115-ე გამანადგურებელ ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკს,
292-ე მოიერიშე საავიაციო დივიზიას.

„**პავლოგრადისა**“

გვარდიის მე-60 მსროლელ დივიზიას,
172-ე მსროლელ დივიზიას.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

პრილუკის გვარდიის 42-ე მსროლელი დივიზია,
რომნის 163-ე მსროლელი დივიზია,
ლუბნის 337-ე მსროლელი დივიზია,
პირიატინის 309-ე მსროლელი დივიზია,
პირიატინის 237-ე მსროლელი დივიზია,
მირგოროდის 373-ე მსროლელი დივიზია.
მირგოროდის 93-ე მსროლელი დივიზია,
რომოდანის 218-ე მსროლელი დივიზია,
კრასნოგრადის გვარდიის 72-ე მსროლელი დივიზია,
კრასნოგრადის გვარდიის 81-ე მსროლელი დივიზია,
კრასნოგრადის გვარდიის 58-ე მსროლელი დივიზია,
კრასნოგრადის 1-ლი მექანიზებული კორპუსი,
კრასნოგრადის გვარდიის 161-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკი,
კრასნოგრადის გვარდიის 115-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
კრასნოგრადის 292-ე მოიერიშე საავიაციო დივიზია,
პავლოგრადის გვარდიის მე-60 მსროლელი დივიზია,
პავლოგრადის 172-ე მსროლელი დივიზია.

სუმის 167-ე მსროლელი დივიზია, რომელმაც მეორედ გამოიჩინა თავი გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში, წარდგენილ იქნას **წითელი დროშის** ორდენით დასაჯილდოებლად.

მე-2 სატანკო კორპუსი გარდაიქმნას გვარდიის მე-8 სატანკო კორპუსად. კორპუსის მეთაური, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი **ალექსი თევდორეს-ძე პოპოვი.** გარდაქმნილ გვარდიის კორპუსს გადაეცეს გვარდიის დროშა.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 19 სექტემბერი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

გენერალ-ლეიტენანტ **კოლპაკჩის** ჯარებმა 1943 წლის 18 სექტემბერს, **ბრიანსკის** სამხრეთით ფართო ფრონტზე გადალახეს მდინარე **დესნა,** დაიკავეს ქალაქი **ტრუბჩევსკი** და წარმატებით ავითარებენ შეტევას დასავლეთისაკენ.

მდინარე **დესნის** გადალახვისას გაბედული და გადამწყვეტი მოქმედებისათვის, არმიის სარდალი, აგრეთვე იმ შენაერთებისა და ნაწილების მეთაურები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, წარდგენილ იქნან **სუვოროვის** ორდენებით დასაჯილდოებლად.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 19 სექტემბერი.

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გენერლებისა და ოფიცრთა შემადგენლობის დაჯილდოება სუვოროვის ორდენებით

ნოვოროსიისკის რაიონში დესანტის გადასხმისას საბრძოლო ოპერაციების მარჯვე და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში ამ ოპერაციათა შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 18 სექტემბრის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

სუვოროვის I ხარისხის ორდენით

გენერალ-ლეიტენანტი **ი. ი. ფედიუნინსკი,**
გენერალ-ლეიტენანტი **ი. ვ. ბოლდინი.**

კუტუზოვის I ხარისხის ორდენით

დაჯილდოებულია გენერალ-ლეიტენანტი **მ. ი. კაზაკოვი.**

სუვოროვის II ხარისხის ორდენით

დაჯილდოებულია 8 გენერალი და ოფიცერი.

კუტუზოვის II ხარისხის ორდენით

დაჯილდოებულია 6 გენერალი და ოფიცერი. (საკადესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის შორი მოქმედების ავიაციის ოფიცერთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და მედალი „**ოქროს ვარსკვლავი**“:

1. გვარდიის კაპიტან ალექსანდრე კუზმის-ძე **ალგაზინს**
2. გვარდიის უფროს ლეიტენანტ გრიგოლ ივანეს-ძე **ბეზობრაზოვს**
3. გვარდიის მაიორ ალექსი მაქსიმეს-ძე **ბოგომოლოვს**
4. გვარდიის მაიორ ალექსი ვასილის-ძე **ვიხორევს**
5. კაპიტან დიმიტრი პეტრეს-ძე **ვოლკოვს**
6. გვარდიის ლეიტენანტ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **გლუშკოვს**
7. გვარდიის კაპიტან ლეონტი პეტრეს-ძე **გლუშჩენკოს**
8. გვარდიის კაპიტან ივანე ტიმოთეს-ძე **გროსულს**
9. გვარდიის კაპიტან ბორის პეტრეს-ძე **გუშჩინს**
10. გვარდიის უფროს ლეიტენანტ ივანე ივანეს-ძე **დაცენკოს**
11. გვარდიის კაპიტან თევდორე ფედოტის-ძე **დუდნიკს**
12. გვარდიის უფროს ლეიტენანტ ივანე ექვთიმეს-ძე **დუშკინს**
13. გვარდიის მაიორ სიმონ პავლეს-ძე **ზოლოტარიოვს**
14. გვარდიის კაპიტან თევდორე თევდორეს-ძე **კოშელს**
15. მაიორ ალექსანდრე ილიას-ძე **მასოლოვს**
16. გვარდიის კაპიტან თეოდოსი კარპეს-ძე **პარაშჩენკოს**
17. გვარდიის კაპიტან ნიკოლოზ ნიკიფორეს-ძე **სამუსევს**
18. გვარდიის კაპიტან ვასილ ტროფიმეს-ძე **სენატორს**
19. გვარდიის უფროს ლეიტენანტ ნიკოლოზ სერგის-ძე **სიშჩიკოვს**
20. გვარდიის კაპიტან სერგი მიხეილის-ძე **ჩერეპნიოვს**
21. გვარდიის მაიორ სტეფანე ივანეს-ძე **შვეცს**
22. გვარდიის კაპიტან პეტრე ავქსენტის-ძე **იურჩენკოს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 18 სექტემბერი.

სამშობლოს საღუფები კინოაფსკზე

კინოქრონიკის ცენტრალური სტუდიის კინოოპერატორები აწარმოებენ დედაქალაქის გადაღებას სალუტების საზეიმო მომენტებში წითელი არმიის გამარჯვებათა გამო.

პირველი გადაღება მოხდა 5 აგვისტოს ღამის 12 საათზე, როდესაც მოსკოვი სალუტს აძლევდა მამაც ჯარებს, რომლებმაც ორიოლი და ბელგოროდი გაათავისუფლეს. კინოოპერატორმა აღბეჭდა ამ ისტორიული ღამის რამდენიმე ეპიზოდი: ათასობით მოსკოველი, რომლებიც ტაშს უკრავდნენ ქუჩებში, სახურავებსა და ავენებზე, **რაკეტების აშვება, ქვემეხთა ზალპები.**

გადაღებულია **სალუტები ხარკოვთან, ელნიასთან** მოპოვებული **გამარჯვების** აღსანიშნავად, დონბასის **განთავისუფლების** გამო.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
20 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

20 სექტემბრის განმავლობაში **ზაპოროჟიეს** და **მელიტოპოლის** მიმართულებებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის წარმატებით განვითარებას, წინ წაიწიეს 10-დან 25 კილომეტრამდე და დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: ქალაქი **ბოლშოი ტოკმაკი,** ზაპოროჟიეს ოლქის რაიონული ცენტრები **ნოვოვასილიევკა, პრიაზოვსკოე** და დიდი დასახლებული პუნქტები **კამიშევახა, იულიევკა, ჟჩერბაკოვკა, კოკანი, სლაბოდა ბალკა, როზოვენი, ბოტიევო, გამოვკა, ნოვო-ივანოვკა** (18 კილომეტრზე მელიტოპოლის საჩრდილო-აღმოსავლეთით).

დნეპროპეტროვსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას, წინ წაიწიეს ცალკეულ უბნებზე 6-დან 18 კილომეტრამდე და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: **ხარკოვის** ოლქის რაიონული ცენტრი **ზაჩეპილოვკა** და დიდი დასახლებული პუნქტები **ალექსანდროვკა, კრასნი ოქტიაბრი, კოჩერეჟკი, ბულავოვკა, მეჟევიჩი, კარაბინოვკა, ლიმანსკოე, ვოდიანა, რაზდოლი, სლავგოროდი.**

პოლტავის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: **პოლტავის** ოლქის რაიონული ცენტრები **ჩუტოვო, კარლოვკა,** რკინიგზის სადგურები **სკოროხოდოვო** და **კოჩუბეევკა.**

კიევის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობენ წარმატებითი შეტევის განვითარებას, წინ წაიწიეს 15-დან 25 კილომეტრამდე და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი **ბრეგოვოკა,** ქალაქი **კოზელეცი, ჩერნიგოვის** ოლქის რაიონული ცენტრი **იაბლონოვკა,** აგრეთვე დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ტოპოლი, მოსტიშჩე, მარკოვცი, იაროსლავკა, ზჩასტნოვკა, ვორონკი, ბაკეევკა, პოგრომები, ლოზოვოი იარი, ბალიუტინცი, კულაჟენცი, იაბლონეოვო, ისკოვცი, ბერეზნიაკი,** რკინიგზის სადგურები—**მარიანოვკა, ბაიარსკი, ვილი.**

ნოვგოროდ-სევერსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითი შეტევის განვითარებას, წინ წაიწიეს 15-დან 20 კილომეტრამდე და დაიკავეს 90-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: **ჩერნიგოვის** ოლქის რაიონული ცენტრი **კორიუკოვკა** და დიდი დასახლებული პუნქტები—**ულადოვი, პოგორელცი, ოხრამეევიჩი.**

ბრიანსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითი შეტევის განვითარებას, წინ წაიწიეს 15-დან 25 კილომეტრამდე და დაიკავეს 250-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: **ორიოლის** ოლქის რაიონული ცენტრები **კლეტნია, ჟირიატინი, ჩერნიგოვის** ოლქის რაიონული ცენტრი **ბრემიანი.**

სმოლენსკისა და **როსლავლის** მიმართულებებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითი შეტევის განვითარებას, წინ წაიწიეს 10-დან 18 კილომეტრამდე და დაიკავეს 350-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: დიდი დასახლებული პუნქტები **ხოლმი, ტოპოროვო, ველიუჟინა, კორნილოვა, სლოტოვო, ლიახოვო, სტროგინო, სეგეევო, მიხაილოვკა, ლუგი, ხოხლოვკა, ასელიე, ხოროშკოვო, ტერებინი, სეშჩა** და რკინიგზის სადგური **სეშჩენსკაია.**

სმოლენსკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი **ველიჟი** და 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

19 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს **გერმანელთა 38 ტანკი.** საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია **მოწინააღმდეგის 47 თვითმფრინავი.**

* * *

დნეპროპეტროვსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ გერმანელთა წინააღმდეგობას შუალედ ზღუდეებზე და განაგრძობდნენ წარმატებით წინ წაწევას. ნაწილის მებრძოლებმა გაბედული მანევრით გაანადგურეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი, ამასთან მოსპეს 600-მდე ჰიტლერელი. ხელში ჩავიგდეთ 10 ქვემეხი, 2 ტანკი, 75 ავტომანქანა, საშტაბო ავტობუსი და დიდძალი სამხარი მასალა. რკინიგზის ერთ-ერთ სადგურზე ჩვენმა ჯარებმა ხელში ჩაიგდეს 50 ვაგონი საჭურველიანად, საწყობები საწვავიანად, სამხარ მასალიანად და მარცვლეულიანად. ჩვენმა ტანკისტებმა სწრაფი იერიშით დაიკავეს რკინიგზის სადგური სლავგოროდი და ამით გადასჭრეს სინელნიკოვო-ზაპოროჟიეს რკინიგზა.

ჩვენი მფრინავები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის ერთ დიდ აეროდრომს. დაბომბვის შედეგად მოწვა მოსპობილია სულ ცოტა 8 ოთხმოტორიანი და 3 ორმოტორიანი თვითმფრინავი. სერიოზულად დაზიანებულია გერმანელთა სულ ცოტა 10 თვითმფრინავი. გარდა ამისა, საჰაერო ბრძოლებში საბჭოთა მფრინავებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 13 თვითმფრინავი.

* * *

პოლტავის მიმართულებით ნაწილები **სპობდნენ** მტრის წინააღმდეგობის კვანძებს და გავიდნენ მდინარე ორჩიკის აღმოსავლეთ ნაპირზე. საბჭოთა მეწინავე რაზმები გადავიდნენ მდინარეზე და შეიპრნენ პოლტავის ოლქის რაიონულ ცენტრ კარლოვკაში. მეწინავე რაზმების მიყოლით მისულმა ჩვენმა ნაწილებმა ფლანგებიდან დაარტყეს მოწინააღმდეგეს და განდევნეს იგი კარლოვკიდან. გერმანელებს წავართვეთ 12 ტანკი, 5 თვითმავალი ქვემეხი, 47 ავტომანქანა, 10 ვაგონი სამხარ მასალიანად, 5 საწყობი სამხედრო ქონებიანად და სხვა დაკვლა.

ნაწილის მებრძოლებმა გერმანელებს ხელიდან გამოსტაცეს 16,000 მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე, რომლებსაც ჰიტლერელები ძალით მიერეკებოდნენ კატორღულ სამტშაოზე გერმანიაში.

* * *

კიევის მიმართულებით ჩვენი ჯარები, რომლებიც მოქმედებენ ჩერნიგოვ-კიევის გზატეხილის გასწვრივ, სძლევდნენ გერმანელთა წინააღმდეგობას და გავიდნენ ქალაქ კოზელეცთან. მოწინააღმდეგემ ამ ქალაქთან თავი მოუყარა დიდ ძალებს და განუწყვეტლივ გადმოდიოდა კონტრიერიშებზე. ორი დღის გააფთრებული ბრძოლების შედეგად საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს გერმანელები და დაიკავეს ქალაქი კოზელეცი. მოსპობილია გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ დაკვლა, მათ შორის რამდენიმე ტანკი, თვითმავალი და საველე ქვემეხები. ქალაქ პირიატინის სამხრეთით ჩვენი ჯარები სატანკო და ქვეითი ნაწილების ფიცხელი იერიშით თავს დაატყდნენ მოწინააღმდეგის ერთ-ერთ შენაერთს და გაანადგურეს იგი. ჩვენმა მებრძოლებმა განავითარეს დარტყმა და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი **გრებინკა.** რკინიგზის კვანძის ლიანდაგებზე ხელთ ვიგდეთ მრავალი ვაგონი და პლატფორმა სამხედრო ტექნიკიანად და სამხარ მასალიანად. დაკვლა შორის არის რამდენიმე ვარგისი ტანკი, ათობით ავტომანქანა, 500 ყუთი გრანატი, 20,000 საარტილერიო ყუმბარა. წამოყვანილია 100-ზე მეტი ტყვე.

* * *

ნოვგოროდ-სევერსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას და განუწყვეტლივ ურტყამდნენ მოწინააღმდეგის უკანდახეულ ჯარებს. მეწინავე რაზმებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და გავიდნენ მდინარე სნოვის ზღუდესთან. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში გაეულტლილია 1.200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოწინააღმდეგეს წავართვეთ 5 ტანკი, 8 ქვემეხი, 50 ავტომანქანა, 300 ცხენი, 130 საზიდარი ტვირთიანად, პონტონის პარკი 3 საარტილერიო საწყობი, 150 კილომეტრი ელექტრონსადენი და დიდძალი სხვა დაკვლა წამოყვანილია 500-ზე მეტი ტყვე. დღის დასასვენებლად ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლებიდან გადალახეს მდინარე სნოვი, მოიგერიეს გერმანელთა კონტრიერიშები და კვლავ წაიწიეს წინ.

* * *

ბრიანსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მოწინააღმდეგე, თავს იფარავდა რა ძლიერი რაზმებით, ცდილობდა გადაერჩინა დარტყმისაგან თავისი ძირითადი ძალები, მოეგო დრო, რათა გამაგრებულიყო შუალედ თავდაცვითს ზღუდეზე კლეტნიას რაიონში. ჩვენმა ჯარებმა ფიცხელი დარტყმით ჩაშალეს გერმანელთა ეს განზრახვა. ნაწილის ერთმა ნაწილმა ერთი ღამის განმავლობაში წინ წაიწიეს დასავლეთისაკენ 25 კილომეტრით, გარშემორტყეს, შემდეგ კი იერიშით აიღეს ორიოლის ოლქის რაიონული ცენტრი კლეტნია. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. ჩვენი ჯარები ნაწილ-ნაწილ **სპობენ** განადგურებულ და გაფანტულ გერმანელთა ქვეგანაყოფებს.

* * *

სმოლენსკისა და **როსლავლის** მიმართულებებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითი შეტევის განვითარებას. ნაწილის ნაწილებმა გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და დაიკავეს მტრის თავდაცვის მთელი რიგი კვანძები, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტი ხოლმი. ამ რაიონში გერმანელთა დიდი რაზმი ავტომანქანებით ცდილობდა გაპრილიყო გზატეხილზე და თავი დაეღწია. გარშემორტყმისათვის. ჩვენი მებრძოლნი კვალდაკვალ მისდევდნენ მოწინააღმდეგეს და მთლიანად მოსპეს ჰიტლერელთა ერი რაზმი. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში გერმანელი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებულია 350-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. არასრული ცნობით, მოსპობილია სულ ცოტა 3.000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დაკვლა.

სმოლენსკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა სამი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ გაარღვიეს მოწინ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

19 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

სმოლენსკის მიმართულებით კალინინის ფრონტის ჯარებმა ოთხი დღის გააფთრებული ბრძოლების შედეგად გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვითი ზოლი და იერიშით დაიკავეს მტრის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი სმოლენსკისაკენ მიმავალ გზებზე—ქალაქი ДУХОВЩИНА.

დასავლეთის ფრონტის ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი სმოლენსკის მისადგომებზე—ქალაქი და რკინიგზის სადგური ИАРЦЕВО.

კიევის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითი შეტევის განვითარებას, წინ წაიწიეს 15-დან 20 კილომეტრამდე და დაიკავეს ქალაქები ПРИЛУКИ, ПИРИАТИНИ, ЛУБНИ, ХОРОЛИ, აგრეთვე დაიკავეს 180-ზე მეტი დასახლებული პუნქტი მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები—ОВИСОВО, (6 კილომეტრზე ჩერნიგოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით), ИАГМАЧА, ХРАСНОЕ, ТОКАЧЕВКА, ХРАСИЛОВКА, ЦЕРКОВИЩЕ, ЖЕМЕРИ, ЛЕМЕШИ, ЛИХОЛЕТКИ, КОНЕВЩИНА, КОЖУХОВКА, ДАВИДОВКА, ТАРАСОВКА, ГУШСКОЕ, НОВАКИ, СОЛОНИЦА, КОКРОВСКАИА, БОГАЧА, ШТАМПЕЛЕВКА და რკინიგზის სადგურები ЗВЕНИГОРОДКА, ЛИНОВИЦИ, ГРАГАРКА, ЛАЗОРКИ, СОЛОНИЦКАИА, ТЕРНОВЩИНА, ГЕЕВО, ДИБИНЦИ, МАЛАШЕВКИ, ГОГОЛЕВО, ШИШАКИ.

ზაპოროჟიესა და მელიტოპოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, წინ წაიწიეს 10-დან 15 კილომეტრამდე და დაიკავეს 170-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი და რკინიგზის სადგური ОРЕХОВО. დიდი დასახლებული პუნქტები КАВЕЛОВКА, БОГДАНОВКА, КОМОГОРНО, НОВОИВАНОВКА, СЛАВНО, ЖЕРЕБЕЦИ, НОВО-ДАНИЛОВКА, ВЕРБОВОЕ, СЕЛЕИВАТА, КАИКУЛАКИ, ОРЕХОВКА, ВОСКРЕСЕНКА, СТЕПАНОВКА, ИНЗОВКА, ОРЛОВКА, ПРЕСЛАВИ და რკინიგზის სადგურები МАЛАИА ТОКМАЧКА, НОВОКАРАГОВКА, ЖЕЛИУШКИНО, СТУЛНЕВО.

დნეპროპეტროვსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 10-დან 18 კილომეტრამდე და დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ლუკაშოვკა, ბოგატაია ჩერნეშჩინა, კირნოსოვკა, ლევენცოვკა, მიხაილოვკა, პოპასნოე, ხანდალეევკა, ვიაზოვოკი, ვერბოვკა, პისარევკა.

პოლტავის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, წინ წაიწიეს 10-დან 15 კილომეტრამდე და დაიკავეს ქალაქი და დიდი რკინიგზის კვანძი КРАСНОГРАДი, აგრეთვე დაიკავეს 250-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ОТРАДА, ИСКРОВКА, ОЧЕРЕТОВО, ГЕЛУХОВКА, ВАРВАРОВКА, ТИШИНКОВКА, МАРИАНОВКА, ЛЕБИИЖИЕ.

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ნოვგოროდ-სევერსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით უტევენ, წინ წაიწიეს 20-დან 30 კილომეტრამდე და დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ჩერნიგოვის ოლქის რაიონული ცენტრები ხოლმი, მენა, ბერეზნა და დიდი დასახლებული პუნქტები მაშევო, პოპოვკა, ორლოვკა, კოზილოვკა, რეიმენტაროვკა, ბენდეროვკა, დოგაშლინი, კისელევკა, სინიავკა, გოროდიშჩე, ვოლოსკოვეი, სტოლნოე, ლოსნისტოე, ბეგაჩი.

ბრიანსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის წარმატებით განვითარებას, წინ წაიწიეს 15-დან 20 კილომეტრამდე და დაიკავეს ქალაქი ტრუბჩევსკი, აგრეთვე დაიკავეს 300 დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ლეტოშნიკი, ბელოგოლოვოლი, სტოგი, შატკინო (34 კილომეტრზე ბრიანსკის დასავლეთით), სტარშევიჩი, სავლუკოვო, კრასნოე, სოსნოვოკ ბოლოტო, სლესლოვკა, შუკლინო, კატლიაკოვო, მოსტოჩანაი, სემიაჩკი, კვეტუნი, სელეცი.

როსლავლის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა წარმატებით გადალახეს მდინარე დესნა, წინ წაიწიეს 5-დან 15 კილომეტრამდე და დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის სმოლენსკის ოლქის რაიონული ცენტრი ეკიმოვიჩი, ორიოლის ოლქის რაიონული ცენტრი დუბროვკა და დიდი დასახლებული პუნქტები ბოგდანოვო, ბოლშიე გუსარკი, ანტონოვკა, სუბოროვო, პეტროვსკოე, კლეიჩეტოვო, პეკლინა.

ყუბანში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, დაიკავეს უღელტეხილი ვოლჩიი ვოროტა, აგრეთვე 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათს შორის რაიონული ცენტრი ვერხნე-ბაკანსკი.

18 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 83 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 26 თვითმფრინავი.

* * *

სმოლენსკის მიმართულებით კალინინის ფრონტის ჯარებმა, ოთხი დღის გააფთრებული ბრძოლების შედეგად, გაარღვიეს მტრის ძლიერ გამაგრებული თავდაცვითი ზოლი. ეს თავდაცვითი ზოლი, რომელსაც გერმანელები ორი წლის განმავლობაში ამაგრებდნენ, შესდგებოდა ექვსი ზღუდისაგან ხანგრძლივი დასაყრდენი პუნქტებით, მრავალრიცხოვანი ძელმაწური საცეცხლე წერტილებით, ჯავშნიანი ხუფებით და სხვა ნაგებობებით, რომლებსაც იცავდნენ მთლიანი დანაღმული მინდვრები. ჩვენმა ჯარებმა სძლიეს შეუპოვარი წინააღმდეგობა მტრისა, რომელსაც განუწყვეტლივ გადმოჰყავდა კონტრიერიშებზე ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები, და იერიშით დაიკავეს ქალაქი დუხოვშჩინა.. ამ ბრძოლებში განადგურებულია გერმანელთა რამდენიმე დივიზია. საბჭოთა ჯარებმა მოსპეს გერმანელთა 72 ტანკი, 204 ქვემეხი, 100-ზე მეტი ნაღმსატყორცნი, 376 ტყვიამფრქვევი, 34 საწყობი საომარ მასალებად. მტერს წაართვეს 26 ტანკი, ახვალებდსხვა ყალიბის 200 ქვემეხი, 300-ზე მეტი ნაღმსატყორცნი, 570 ტყვიამფრქვევი, ბევრი ავტომატი, შაშხანები, 22 საწყობი საომარ მასალიანად, და სხვა დაავლა. წამოყვანილია 600-ზე მეტი ტყვე.

დასავლეთის ფრონტის ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი პუნქტი სმოლენსკის მისადგომებზე—ქალაქი და რკინიგზის სადგური იარცევო.

* * *

კიევის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებიოს შეტევას. 5 შენაერთის ნაწილები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, მდინარე დესნასთან მივიდნენ ქალაქ ჩერნიგოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ჩვენი სხვა შენაერთის მებრძოლები გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ ქალაქ პრილუკისთვის. დღის ბოლოსათვის ჩვენმა ჯარებმა ავსებით გასწმინდეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან რკინიგზის კვანძი და ქალაქი პრილუკი. ქალაქისათვის ბრძოლებში მოსპობილია 1.000-ზე მეტი ჰიტლერელი. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

საბჭოთა სატანკო ნაწილებმა უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მთელი რიგი მძიმე დარტყმები აგემეს მტრის ჯარებს, რომლებიც ცდილობდნენ გამაგრებულიყვნენ ხელსაყრელ ზღუდეებზე მდინარე უდაის მკლავში. ტანკისტების მიერ გაკეთებულ განარღვევებში გავიდნენ ჩვენი ქვეითები, რომლებმაც მოსპეს გერმანელთა დაქსაქსული ჯგუფები, გადავიდნენ მდინარე უდაიზე და ბრძოლით დაიკავეს ქალაქი პირიატინი. ჩვენმა სხვა ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი ლუბნი.

* * *

პოლტავის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. 5 შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს 15 კილომეტრზე და ზედ მიადგნენ ქალაქ კრასნოგრადს, ღამის საფარით ჩვენმა მებრძოლებმა მდინარე ბერესტოვაია გადალახეს და იერიშით დაიკავეს ქალაქი კრასნოგრადი. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე სარკანიგზო შემადგენლობა სამხედრო ტვირთით, მარცვალ-ფურაჟის საწყობი, საწვავის საწყობი, ბევრი საჭურველი და საომარი მასალა.

* * *

ნოვგოროდ-სევერსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მტრის ნაწილები, რომლებიც გაძლიერებული იყვნენ ნაღმსატყორცნებითა და არტილერიით, შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ და ცდილობდნენ შეეჩერებინათ შემტევი საბჭოთა ჯარები. 6 შენაერთის მებრძოლები სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევენ მტერს, კვალდაკვალ სდევნიან და ანადგურებენ გერმანელებს. არასრული ცნობებით, ერთი დღის განმავლობაში მოსპობილია 700 ჰიტლერელი, 4 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 2 თვითმავალი და 9 საველე ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ 3 ვაგონი ტანკი, 4 რადიოსადგური, 200 ცხენი, რამდენიმე სხვადასხვა საწყობი და სხვა დავლა. საბჭოთა მებრძოლები უეცრად შეიჭრნენ ქალაქ მენაში და დაიკავეს იგი. ხელთ ვიგდეთ 350 ტყვე და ბევრი დავლა. დასახლებულ პუნქტებში ბუგრინოვკასა და სტახორშჩინაში ჩვენმა ნაწილებმა გაათავისუფლეს 4.000 ადგილობრივი მცხოვრები, რომელთაც გერმანელები გერმანიის კატორღაში მიერეკებოდნენ.

* * *

ბრიანსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის წარმატებით განვითარებას. 6 შენაერთის ნაწილებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე კონტრიერიში და იერიშით დაიკავეს ქალაქი ტრუბჩევსკი. ტრუბჩევსკისათვის ბრძოლაში მოსპობილია გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი, 9 ტანკი, ბევრი ქვემეხი, ნაღმსატყორცნი და ტყვიამფრქვევი. არასრული ცნობებით, ხელთ ვიგდეთ 17 ქვემეხი, 24 ნაღმსატყორცნი, საწყობები ყუმბარებიანად და ვაზნებიანად, რკინიგზის ეშელონი საომარ მასალიანად, 20 ტონა სატელეფონო მავთული და სხვა დავლა. წამოყვანილია ტყვეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

* * *

ყუბანში ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ და დაიკავეს 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის რაიონული ცენტრი ვერხნე-ბაკანსკი. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია 1.200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 28 ქვემეხი. 1.150 ავტომატი და შაშხანა, 27.000 ყუმბარა და ნაღმი. წამოყვანილია 200-ზე მეტი ტყვე.

* * *

კიევის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი ჩაპაევის სახელობის პარტიზანული რაზმი 11 სექტემბერს თავს დაესხა გერმანელ მესანგრეებს, რომლებიც გადასასვლელს აკეთებდნენ წყლის ზღუდეზე. პარტიზანებმა გაჟალეს 56 ჰიტლერელი და ააფეთქეს გადასასვლელი. ამავე რაზმის პარტიზანებმა ჩაშალეს გერმანელთა ცდა წაერთმიათ მოსავალი გლეხებისათვის და გაეგზავნათ იგი გერმანიაში. საბჭოთა პატრიოტებმა მოსპეს 80-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და პოლიციელი, რომლებიც ცდილობდნენ წაეღოთ მარცვლეული, რაც გლეხებს წაართვეს.

მოსავლის აღება კოლმეურნეობებში

(საქმიწსახკომის 15 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	მარცვლეულისა და ცერცვოვანი კულტურების აღება პროცენტებით	გალეწილია თავთავიანი და ცერცვოვანი პროცენტებით	აღებულია კარტოფილი პროცენტ	თამბაქოს შეტანა პროცენტებია
აფხაზეთის ასსრ			17,6	44,4
აჭარის ასსრ	1,8		1,6	59,7
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	66,5	78,1	10,8	
ზუგდიდი				78,3
ჩოხატაური			9,2	26,4
ქუთაისი	2,3	86,6	41,4	
წყალტუბო			76,1	
სამტრედია	6,3	73,0	76,9	
ჭიათურა	15,9	98,1	58,5	
საჩხერე	31,7	97,6	59,5	
ორჯონიკიძე	5,5	100,0	21,3	
ონი	53,7	85,5		
ამბროლაური	39,6	95,0		
ცაგერი	31,1	98,3		
ქვემო-სვანეთი	40,6	93,2		
ახალქალაქი	98,4	28,2		
ბოგდანოვკა	54,3	13,1	5,6	
ახალციხე	78,9	91,7	6,4	
ადიგენი	66,0	96,2		
ასპინძა	94,8	64,6		
ხაშური	66,3	97,9	51,0	

რაიონები	მარცვლეულისა და ცერცვოვანი კულტურების აღება პროცენტებით	გალეწილია თავთავიანი და ცერცვოვანი კულტურები პროცენტებით	აღებულია კარტოფილი პროცენტ	თამბაქოს შეტანა პროცენტებია
ქარელი	73,3	94,5	51,2	
გორი	67,1	88,7	52,5	
კასპი	74,0	84,0	16,7	
ბორჯომი	46,0	44,2	7,1	
წალკა	75,9	18,5		
დუშეთი	82,4	76,5		
თეთრი წყაროო	80,9	76,1	41,6	
თიანეთი	72,9	29,4		
გურჯაანი	74,4	92,0	98,7	47,0
სიღნაღი	88,8	97,7	100,0	31,6
წითელწყაროო	92,0	82,1	100,0	
თელავი	73,6	95,1	3,8	
ყვარელი	81,5	99,1	40,0	35,4
ლაგოდეხი	86,7	95,6	50,6	85,1
თბილისი	93,5	70,4	53,8	
მცხეთა	75,2	76,9		
ყარაიაზ	76,0	79,8		
ბორჩალო	88,0	91,2	7,2	57,3
ბოლნისი	73,2	80,6	80,9	36,1
საგარეჯო	76,9	84,5	31,6	
ბაშკიჩეთი	77.4	33.4		

ბოგდანოვკისა და ასპინძის რაიონებიდან მარცვლეულის მოსავლის აღებისა და ლეწვის ცნობები ცხრილში მოცემულია 10 სექტემბრის მიხედვით.

დღეფეგი

ავსტრალიის პროფკავშირულ მოღვაწეთა დეპეშა ამხ. შვერნიკს

სიდნეი, 15 სექტემბერი (საკდესი). ავსტრალიის სხვადასხვა პროფკავშირთა 30 თავმჯდომარემ და მდივანმა, რომლებშიც გაერთიანებულია 400.000-მდე წევრი, შემდეგი დეპეშა გამოუგზავნეს ამხანაგ შვერნიკს:

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ მეორე ფრონტის გახსნის შემდგომი გადადება გამოიწვევს ევროპის ომის გაჭიანურებას და გახდება წყნარ ოკეანეში ომის განუსაზღვრელად დიდი ხნით განგრძობის მიზეზი. ჩვენ მოვუწოდებთ ბრიტანეთის პროფკავშირებს ეზარი დაუჭირონ დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის დაუყოვნებლივ გახსნის მოთხოვნას. ვწუხვართ, რომ ნეგლერი საბჭოთა პროფკავშირების მიმართ გამოვიდა დაუსაბუთებელი და სასაცილო მტკიცებებით, რომლებიც ძირს უთხრიან საერთაშორისო პროფკავშირულ ერთიანობას“.

ჩუზველტის მიმართვა კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 17 სექტემბერი (საკდესი). რუზველტმა წერილით მიმართა კონგრესს, რომელიც საზაფხულო არდადეგების შემდეგ შეიკრიბა.

მიმართვაში შეჯამებულია უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რაც ევროპისა და აზიის ფრონტებზე მოხდა კონგრესის არდადეგების ორი თვის პერიოდში. რუზველტი ჩერდება იტალიაში არსებულ მდგომარეობაზე და ლაპარაკობს მოკავშირეთა მძიმე ბრძოლაზე ნეაპოლის სამხრეთით. იტალიაში ჯარების გადასხდომა, ნათქვამია წერილში, დასახულ იქნა კასაბლანკაში. კვებეკში შემუშავდა კონკრეტული და ზუსტი გეგმები, რომ შემდგომი თანაბარი ან კიდევ უფრო საგრძნობი დარტყმები გეგეგმეინა გერმანიისა და იაპონიისათვის, ამასთან დასახულ იქნა თარიღები და პუნქტები ევროპასა და სხვა ადგილებში ახალ-ახალი ჯარების გადასასხმელად.

რუზველტმა შემდეგ დაასურათა სიცილიისათვის ბრძოლა, მოვლენათა მსვლელობა ხმელთაშუა ზღვაში, აღნიშნა მოკავშირეთა ჯარების გადასხდომა იტალიაში, მუსოლინის გადადგომა და განაცხადა, რომ ეს არის პირველი გარღვევა ღერძის ქვეყნების ხელ-ხძღვანელობაში, რომელსაც მოჰყვება სხვა გარღვევანი. „როდესაც წავალენ ჰიტლერი და ნაციისტები, მათთან ერთად უნდა წავიდეს პრუსიის მილიტარისტული ხროვაც“, — ამბობს რუზველტი.

შემდეგ პრეზიდენტი გადადის მოკავშირეთა საჰაერო ომის დახასიათებაზე. იგი ამბობს, რომ მათი მიზანია შეჰქმნან ბაზა სამხრეთ და აღმოსავლეთ გერმანიაზე დასარტყმელად ისე, რომ გამანადგურებელი ომი გადაიტანონ ამ რაიონებში და ბომბონ ისინი დღედაღამ.

„ყოველი ამერიკელი, — ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, — აღფრთოვანებას ეძლევა იმ გამანადგურებელი დარტყმების გამო, რომლებსაც ნაცისტ აგრესორებს რუსეთის არმიები აგემებენ. წელს ზაფხულში არ იყო გერმანელთა ისეთი წარმატებითი შეტევა რუსების წინააღმდეგ, როგორსაც ადგილი ჰქონდა 1941 და 1942 წლებში. დღეს უაღრესად საფუძვლიანად უჭერს წაღა მეორე ფეხს. ამჯერად რუსებმა ისეთი დიდი სამხედრო დამარცხება აგემეს, როგორიც არა ყოფილა ნაპოლეონის უკანდახევის დროიდან 1812 წელს“.

წერილი აღნიშნავს, რომ წითელი არმიის გამარჯვებანი აღაფრთოვანებენ მთელ მსოფლიოს, „რამდენადაც რუსეთის კამპანია იწვევს ყველა გერმანელი ჯარისკაცის განდევნას რუსეთის მიწა-წყლიდან და იწვევს თვით გერმანიაში შეჭრას“.

პრეზიდენტი გადავიდა ა. შ. შტატებში სამხედრო წარმოების განვითარების საკითხზე და აღნიშნა წარმოების ტემპების გაძლიერება აგვისტოსა და სექტემბერში. ორი თვანასწორი თვის განმავლობაში ა. შ. შტატების საწარმოებმა გამოუშვეს, დაახლოებით, 15 ათასი თვითმფრინავი, ხოლო ევროპელებმა 281 გემი, თითქმის ხუთი-ხუთი დღეში.

რუზველტმა აღნიშნა ა. შ. შტატების საშინაო პოლიტიკის განსაკუთრებული თვისებანი, და ამოცანები და დასასრულ განაცხადა, რომ ომის მსვლელობაში ა. შ. შტატები ისწრაფვიან სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობისაკენ „იმ მიზნით, რომ მსოფლიო აგრესიას ბოლო მოეღოს“ და კარგი საერთაშორისო ურთიერთობა დამყარებულ იქნას მკვიდრ საფუძველზე.

ინგლისში ბალრუნდა

ლონდონი, 20 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი ინგლისში დაბრუნდა.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 19 სექტემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა სამხედრო-საზღვაო ძალებმა სამი დღის წინათ ნეაპოლის ყურეში დაიკავეს კუნძული ისკია.

ინგლისის მერვე არმია, განაგრძობდა რა წინსვლას ჩრდილოეთისაკენ, შეუერთდა ამერიკის მეხუთე არმიას. ამასთან დაკავშირებით მოკავშირეთა ჯარების მდგომარეობა სალერნოს ფრონტზე განუწყვეტლივ უმჯობესდება.

მარცხენა ფლანგზე გერმანელები უკან იხევენ.

მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ალტავილა და ბატიპალია. მოკავშირეთა ფლოტი განაგრძობს სალერნოს რაიონში სულ უფრო მეტი ჯარების მიყვანას და სამხედრო მასალებისა და მანქანების მიტანას.

ინგლისის ჯარებმა დაიკავეს კუნძულები სამოსი და კასტელორიზო

ლონდონი, 20 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო სტამბოლიდან გადმოგვცემს, რომ 18 სექტემბერს კუნძულ სამოსზე (ეგეოსის ზღვა) გადასხდნენ ინგლისელთა ჯარები.

ლონდონი, 20 სექტემბერი (საკდესი) რეიტერის სააგენტო სტამბოლიდან გადმოგვცემს, რომ კუნძული კასტელორიზო (დოდეკანეზის კუნძულების ჯგუფიდან) ინგლისელთა ხელშია.

იტალიაში მყოფ ჰიტლერელთა სამხედრო საქმიანობის ბრძანება

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ბერნელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ბერნში მიღებული ცნობებით, იტალიაში მყოფ გერმანელთა სამხედრო სარდლობამ უბრძანა ყველა იტალიელ ჯარისკაცს, მათ შორის დაშლილი ნაწილების ჯარისკაცებსაც, დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ სამხედრო ფორმით გერმანელთა მიერ ნაჩვენებ შესაკრებ პუნქტებში.

გერმანელთა ჯარების ევაკუაცია კუნძულ საქიენიიდან

ლონდონი, 19 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ თითქმის ყველა გერმანელი ევაკუირებულ იქნა კუნძულ სარდინიიდან მას შემდეგ, რაც მათზე იერიში მიიტანა იტალიელთა ორმა დივიზიამ.

კუნძულ სარდინიიდან ევაკუირებულმა გერმანელებმა დაიხიეს კუნძულ კორსიკაზე.

იტალიელი ოფიცრების გაქცევა

ლონდონი, 19 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში და სიცილიის აეროდრომებზე თვითმფრინავებით ჩამოდიან იტალიელი მფრინავები. სააგენტოს სხვა ცნობაში აღნიშნულია, რომ ამობით იტალიელმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა დასტოვეს დოდეკანეზის კუნძულები და საბერძნეთის ეგეოსის ზღვის კუნძულები და თურქეთის ნაპირებთან მივიდნენ.

იტალიის გემების ჩასვლა ალექსანდრიაში

ლონდონი, 18 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ძალიდან წასული იტალიელთა ხომალდები ალექსანდრიის ნავსადგურში შევიდნენ ბრიტანეთის ხომალდების ბადრაგობით. ალექსანდრიაში მისული იტალიელთა ხომალდების ჯგუფში შედიან სახაზო გემები „იტალია“ და „ვიტორიო“ და საესკადრო ნაღმსნები.

ბულგარეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა

სოფია, 15 სექტემბერი (საკდესი). სარეგენტო საბჭოს დავალებით ფინანსთა მინისტრმა ბოჟილოვმა შეადგინა ახალი კაბინეტი, რომელშიც შედიან: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ფინანსთა მინისტრი დობრი ბოჟილოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი სავა კიროვი, სამხედრო მინისტრი რუსი რუსევი, შინაგან საქმეთა მინისტრი დოჩო ბოიანოვი, ეკონომიკურ საქმეთა მინისტრი ალექსანდრ ბალევსკი, ტრანსპორტისა და საფოსტო-სატელეგრაფო საქმეთა მინისტრი ბორის ბალევი, ინფორმაციისა და ბეჭდვითი საქმეთა მინისტრი ალექსანდრ ბალევი, ეკლესიათა მინისტრი ბორის ბალევი, ეროვნული განათლების მინისტრი ბორის ბალევი, ეროვნული ეკონომიკის